საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 23 0000179184

15/02/2023

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27^5მე-7^1პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 14 ნოემბერს №1446273 წერილით, წარმოდგენილ იქნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 22 ნოემბრის №1491106 ბრძანების საფუძველზე, იქნა **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 16 დეკემბრის №1619458 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2022 წლის 26,27 და 28 დეკემბერსგანახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. ხოლო 2022 წლის 06 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 13 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3.სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის №179203 სხდომის ოქმის №4 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრითიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, სწავლის სფეროს ამსახველი და სწავების

საფეხურის შესაბამისი თანამედროვე ფრანგულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე.
- მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

რჩევები:

- სასურველია პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გაუზიაროს სხვა პროგრამის პერსონალს გამოცდილება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების და შეფასების მიდგომების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე პროგრამას (ამჯერად ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამას) ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ამა თუ იმ უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილებით/ექსპერტიზით. ბუნებრივია, იგულისხმება შედეგებსა და მათ შეფასებაზე ტექნიკური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკა.
- სასურველია, სწავლის შედეგი 4-ში დაკონკრეტდეს საუბარია საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს C1 თუ C2 დონეზე
- ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით არჩევითი საგნის სტატუსით სტუდენტს მიეცეს ფრანგულენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს სტუდენტის კვირეული დატვირთვა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გონივრული გადანაწილება კვირების მიხედვით.
- რეკომენდებულია პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი და ზოგადად, პროგრამაში ჩართული პირები საფუძვლიანად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, გეგმას. საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების შესახებ
- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის გრაფიკული და მატრიცული მონაცემებს თან დაერთოს ანალიზური განმარტებები დასკვნის სახით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა თანმიმდევრულად გაითვალისწინონ ყველა ის მოთხოვნა, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმებს;
- სასურველია კვლევის შედეგების პირველადი ინტერპრეტაცია განხორციელდეს ინსტიტუციურად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გააზრებისა და ჰოლისტურად პროგრამების კონცეპტუალური განვითარების მიზნით;
- სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანთლებლო სიხლეების გაცნობისა და შესწავლის პროცესში;

- სასურველია აკრედიტაციის დასრულების შემდგომ გაანალიზდეს გარე შეფასების შედეგები, გადაიხედოს და მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საუნივერსიტეტოს პროცედურები კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კალსტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (13.02.2024)
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 13 თებერვალს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა French language and literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012 №91
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში Master of Arts in French Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	13.02.2023
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	13.02.2024
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	13.02.2030